ბრძანება:**ბ126. 126242974**
თარიღი:**23/10/2024**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 54-ე მუხლის, 119-ე მუხლის მე-6 პუნქტის "ა"და "ბ" ქვეპუნქტების, მე-10, მე-11 პუნქტების,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის N20 და 30 სექტემბრის N36 განკარგულებების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე, 53-ე და 54-ე ე მ უხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების თანახმად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სხდომის2024 წლის 22 ოქტომბრის N 3ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ:

I. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, იმავე პირობებით ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე და განისაზღვროს:

1. ქ. ჯვარი ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე 300 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.14.41.005-20000 ლარი

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 20000 ლარი

ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---2300 ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 200 ლარი.

II. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების თაობაზე და განისაზღვროს:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1534კვ.მ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.06.36.177---15300 ლარი.

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 15500 ლარი

ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---2000 ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 200 ლარი.

III. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს ვებგვერდზე www.eauction.ge.-ზე გამოცხადების მომენტიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით, ხოლო არა სამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე

პირველივე სამუშაო დღეს.
IV. დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს თეიმურაზ მებონიას უზრუნველყოს საუქციონო განცხადების www.eauction.ge.-ზე განთავსება.
V. ელექტრონულ აუქციონის ფორმით, ქონების პრივატიზებისას „ბე“-ს საფასურის გადახდა განხორციელდეს საბანკო ანგარიშებზე, ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში: (მოძრავი ქონებაზე - N300393332; უძრავ ქონებაზე- N300393313; არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - N300393390) სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში: მოძრავ ქონებაზე--N300393224; უძრავ ქონებაზე--N300393212; მიწაზე-- N3003933047.
VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
VII. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მისქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა12).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი ხარჩილავა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი